

# ძალადობის სისტემური გარდაუვალობა მსხვერპლის პერსპექტივიდან

ვახუშტი მენაბდე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის*

*მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაალ ანდრონიკაშვილი, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

2013 წლის 17 მაისს ქ. თბილისში მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა აიდაჭოს დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი შეკრება უშუალო ძალადობის გამოყენებით ჩაშალეს. პოლიცია უძღური აღმოჩნდა აღეკვეთა ფიზიკური ზეწოლა. ამ ფაქტს წინ უძღოდა მართლმადიდებელი ეკლესიის განცხადებების ერთობლიობა, რომელიც აცხადებდა, რომ LGBT თემი ახორციელებს საკუთარი შეხედულებების პროპაგანდას და საფრთხეს უქმნის ქართულ იდენტობას. კვლევის მიზანია, 17 მაისის მოვლენების მაგალითზე შეისწავლოს „ძალაუფლებისა“ და „ძალადობის“ მიმართება, მათი გამოვლინებები და მსხვერპლის ადგილი ამ პროცესში, ისევე როგორც ეკლესიის ძალაუფლებისთვის ბრძოლის სტრატეგია და მექანიზმები, მათში ძალადობის როლი. საკითხის შესწავლაში გამოყენებულია კრიტიკული დისკურსის ანალიზის მეთოდის ზოგიერთი ელემენტი. კვლევის ცალკეულ ნაწილებში, რომლებიც კონკრეტულად შეეხება საკვლევ სუბიექტებს.

კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ ძალადობის ეს შემთხვევა არ იყო სპორადული, აფექტური და შემთხვევითი, ლოგიკურად გამომდინარეობდა მართლმადიდებელი ეკლესიის ძალაუფლებისთვის ბრძოლის სტრატეგიიდან, რომელიც მას, როგორც პოლიტიკურ სუბიექტს გააჩნია.

კვლევა აჩვენებს ძალადობის სისტემურობას და ანალიზებს მსხვერპლის მიმართებას მოძალადესთან.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ძალადობა, ძალაუფლება, ძალადობრივი სისტემა, ძალადობრივი მიმართება, პოლიტიკური სივრცე, სამოქალაქო მდგომარეობა, ბუნებითი მდგომარეობა, ძალადობრივი სისტემის აგენტები, პოლიტიკური სივრციდან განდევნა, მსხვერპლი, ნეგატიური კონსენსუსი, დისკურსით ძალადობა, დესუბიექტივიზაცია, ნეგატიური კონსტრუირება, კოჰიზია, ძალადობის უარყოფა, უსასრულო ძალადობა.